ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 31 (4281)

1971 წ. 14 თებერვალი კვირა. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

თბილისის „შრომითი რეზერვების“ აუზში დამთავრდა საქართველოს მოცურავეთა პირადი პირველობა. შეჯიბრება რესპუბლიკური რეკორდების სიუხვით გამოირჩეოდა.

პირველ ორ სურათზე აღბეჭდილნი არიან ი. მარგიშვილი (თბილისის განათლების განყოფილება) და თ. ბახუტაშვილი (თბილისის „დინამო“), რომლებმაც რესპუბლიკური რეკორდები დაამყარეს: პირველმა — 400 მეტრზე თავისუფალი სტილით, ხოლო მეორემ — ამავე დისტანციაზე კომპლექსურ ცურვაში.

მესამე სურათზე თქვენ ხედავთ 16-17 წლის ჭაბუკთა შორის 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გამარჯვებულ ა. იორდანიშვილს (თბილისის „შრომითი რეზერვები“). აღსანიშნავია, რომ მან პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმატივი.

ა. გურასაშვილის ტექსტი და ფოტო.

ცურვა

ახალი ამბები-71

● საპორო, 12 თებერვალი. იაპონიის ამ ქალაქში გრძელდება „წინაოლიმპიური კვირეული“. 50 კილომეტრზე რბოლა მოიგო ნორვეგიელმა ა. ნერლანდმა — 2:44.35,86. III ადგილზე გავიდა გ. გრიმერი (გდრ). როგორც ცნობილია, II ადგილი საბჭოთა სპორტსმენმა ფ. სიმაშოვმა დაიკავა. ქალთა გიგანტურ სლალომში გაიმარჯვა ცნობილმა ფრანგმა სამთომთხილამურემ ა. ფამოზმა — 1.29,97. 10 კმ-ზე ქალთა რბოლა მოიგო ფინელმა მ. კაიოსმაამ — 34.58,78. ვერცხლი და ბრინჯაო საბჭოთა მოთხილამურეებს ხვდათ: ა. ოლიუნინა მეორეა (35.28,89), ნ. ფიოდოროვა — მესამე (35.45,58). IV ადგილი დაიკავა გ. კულაკოვამ — 36.02,93. დიდი ტრამპლინიდან ხტომაში პირველი იყო ნორვეგიელი ი. მორკი — 236,4 ქულა (ნახტომები — 103 და 101 მ). II ადგილზეა იაპონელი ა. კონო — 229,3 (95 და 105), III — ვ. ბელოუსოვი — 219 (96 და 99,5).

● ალმა-ათა, 12 თებერვალი. აქ დამთავრდა ფრენბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი წრე. შესანიშნავად ითამაშეს მოსკოველმა არმიელებმა, რომლებმაც „მშრალი“ ანგარიშით დაამარცხეს როსტოველი თანაკლუბელები — 3:0, მიუხედავად მარცხისა, როსტოველები სატურნირო ცხრილში II ადგილზე არიან, რაც უდავოდ დიდი წარმატებაა. დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „ლოკომოტივი“ (კიევი) — აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტი (ბაქო) 3:2, „რადიოტექნიკი“ (რიგა) — „ბურევესტნიკი“ (მოსკოვი) 3:2, „ბურევესტნიკი“ (ხარკოვი)—„ბურევესტნიკი“ (ოდესა) 3:1, „ავტომობილისტი“ (ლენინგრადი) — „ზვეზდა“ (ვოროშილოვგრადი) 3:1, „ბურევესტნიკი“ (ალმა-ათა) — „კალევი“ (ტალინი) 2:3. შეჯიბრების მეორე წრე 1 მარტს დაიწყება.

გათამაშების ცხრილი
მდგომარეობა I წრის შემდეგ

	თ.	მ.	წ.	ქ.
ცსკა	11	10	1	10
ასკ (დონის როსტოვი)	11	7	4	7
„ბურევესტნიკი“ (მოსკოვი)	11	6	5	6
„ბურევესტნიკი“ (ხარკოვი)	11	6	5	6
„ლოკომოტივი“ (კიევი)	11	6	5	6
„ბურევესტნიკი“ (ოდესა)	11	5	6	5
„ბურევესტნიკი“ (ალმა-ათა)	11	5	6	5
„ზვეზდა“ (ვოროშილოვგრადი)	11	5	6	5
„რადიოტექნიკი“ (რიგა)	11	5	6	5
„ავტომობილისტი“ (ლენინგრადი)	11	5	6	5
„კალევი“ (ტალინი)	11	4	7	4
აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტი (ბაქო)	11	2	9	2

საქართველოს პირველობა

გზა აებნათ

ბაკურიანი, 13 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ძნელი ტრასისა და რთული მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად, ესტაფეტებში მოასპარეზეთა ბრძოლა დაძაბული და საინტერესო გამოდგა.

ქალთა ესტაფეტის მონაწილენი ნ. ბალაშვილი (თბილისი) და ლ. ფოფონოვა (ბოგდანოვკა), რომლებიც პირველ ეტაპზე ასპარეზობდნენ, მალე დაწინაურდნენ, მაგრამ ტრასა აერიათ და ხუთის მაგიერ ათკილომეტრიანი დისტანციის გზას დაადგნენ (ქალთა ორივე ჯგუფი 3×5 კმ-ზე გამოდიოდა). ამის გამო ჩამორჩენილებმა, რომლებმაც სწორი გზით იარეს, ეტაპი, ცხადია, მათზე ადრე დაამთავრეს. საბოლოოდ გამარჯვება პირველ ჯგუფში ბორჯომის ნაკრებს დარჩა — 1:44,0. თბილისის ძლიერი კოლექტივი II ადგილს დასჯერდა — ბორჯომელებთან 17 წუთი და 25 წამი წააგო.

მეორე ჯგუფში საუკეთესო აღმოჩნდა ცაგერის რაიონის გუნდი (1:50,0), რომელმაც სამხრეთ ოსეთის კოლექტივს 7 წუთი და 45 წამი მოუგო. III ადგილი დარჩა დუშეთის ნაკრებს — 2:04.27. ქალთა ესტაფეტაში ერთიანი ჩათვლა. იყო, ამიტომ II და III ადგილები ცაგერისა და სამხრეთ ოსეთის კოლექტივებს ეკუთვნით, ხოლო თბილისის გუნდის შედეგი საერთო მეოთხე მაჩვენებელი აღმოჩნდა.

4×10 კილომეტრზე ვაჟთა ესტაფეტაში ყველას აჯობა თბილისის კვარტეტმა, რომელმაც ბორჯომის რაიონის გუნდთან დამაჯერებელი რევანში აიღო. ჩემპიონთა დროა 2:36,21, ბორჯომის რაიონის კოლექტივისა — 2:44.16.

მეორე ჯგუფში (3×10 კმ) საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: ბოგდანოვკის რაიონი — 2:09.49, სამხრეთ ოსეთი — 2:14.28, ცაგერის რაიონი — 2:15.05.

საღამოს გაირკვა ორჭიდში შეჯიბრების შედეგები. 15 კილომეტრზე რბოლის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო თბილისელმა მ. გვიჩიანმა, რომელმაც რბოლაში 240 ქულა დააგროვა. მან დისტანცია 1 საათსა და 7 წუთში დაფარა. რბოლის შემდეგ II ადგილზე იყო მისი თანაგუნდელი ა. ბუძიშვილი — 214,4 ქულა, III — ბორჯომის რაიონის წარმომადგენელი ე. თვაური — 212,48. მაგრამ ხტომაში ასპარეზობამ წარმატება მოუტანა თვაურს, რომელმაც საბოლოოდ 437,88 ქულით ჩემპიონობა დაისაკუთრა. ბუძიშვილი II ადგილზე გავიდა — 428,55. III ადგილზეა გვიჩიანი — 404,4.

ამ დღეს გაიმართა მეორე ჯგუფის სპორტსმენთა შეჯიბრებაც 40-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში. ყველას აჯობა ცაგერელმა რ. ონიანმა (166,8 ქულა), მაგრამ ჩემპიონობის საკითხი გადაწყვეტილი არ არის, ვინაიდან 90-მეტრიან ტრამპლინზე ასპარეზობის გამართვა ჯერჯერობით არ ხერხდება.

პირველ ჯგუფში საერთო გუნდურ ჩათვლაში წინაა თბილისის კოლექტივი, რომელსაც ოდნავ ჩამორჩება ბორჯომის რაიონის ნაკრები.

მეორე ჯგუფში პირველობა და გარდამავალი თასი ქუთაისელებმა დაისაკუთრეს. II ადგილზე არიან ცაგერის რაიონის წარმომადგენლები, III — სამხრეთ ოსეთის სპორტსმენები.

ო. გელაშვილი.

თხილამურები

ცსკა-ს გამარჯვება ლიეჟში

10-11 თებერვალს გაიმართა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებათა კალენდარული მატჩები კალათბურთში.

ჩემპიონთა მატჩები ასე დამთავრდა: **ვაჟები.** „სტანდარდი“ (ბელგია) — ცსკა (სსრ კავშირი) 66:97 (30:50), „რეალი“ (ესპანეთი) — „აკადემიკი“ (ბულგარეთი) 100:79 (45:38), „ინისი“ (იტალია)— „ოლიმპია“ (იუგოსლავია) 85:63 (28:31), „ოლიმპიკი“ (საფრანგეთი) — „სლავია“ (ჩეხოსლოვაკია) 91:97 (47:55).

ქალები. „სლავია“ (ჩეხოსლოვაკია) — ტტტ (სსრ კავშირი) 40:79 (23:34), „აკადემიკი“ (ბულგარეთი) — გეას-ი (იტალია) 72:47 (29:24).

* * *

თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში იტალიის „ფიდე მა“ დაამარცხა პოლონეთის „ლეგია“ — 94:73.

სასიხარულო ცნობა ლენინგრადიდან

თამარ კაჭარავა — „ლოკომოტივის“ ჩემპიონი

ორ კვირას გაგრძელდა „ლოკომოტივის“ ცენტრალური საბჭოს მოჭადრაკე ქალიშვილთა პირველობა, რომელშიც მხოლოდ 20 წლის ასაკამდე სპორტსმენებს შეეძლოთ მონაწილეობა. შეჯიბრება ორ ეტაპად ჩატარდა: სამი ნახევარფინალური ტურნირიდან ფინალში მხოლოდ ორ-ორი მოჭადრაკე გადიოდა.

სხვებთან ერთად ეს უფლება მოიპოვეს ქართველმა მოჭადრაკეებმა თამარ კაჭარავამ და სოფიო ცერცვაძემ. ფინალის საგზურებს მათ ეცილებოდნენ მოსკოველი ს. კუპერმანი, ლენინგრადელი ო. კაჩმარსკაია, რიგელი ტ. კაშირსკაია და საზოგადოების შარშანდელი ჩემპიონი, სვერდლოვსკელი სტუდენტი ლ. ტილნიხი.

საუცხოოდ ითამაშა თ. კაჭარავამ. მან ნახევარფინალი და ფინალი დაუმარცხებლად განვლო (7 მოგება, 8 ყაიმი) და I ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია კაჭარავას გამარჯვება მოსკოველ კუპერმანთან. ამ შეხვედრამ ფაქტიურად გადაწყვიტა ჩემპიონის ვინაობის საკითხი.

ამ წარმატებისთვის თ. კაჭარავა სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალიშვილთა ნაკრებში შეიყვანეს. თბილისელი მოსწავლის გამარჯვებაში დიდი წვლილი მიუძღვის მის მწვრთნელს, სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს მ. შიშოვს.

რ. ფერაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

* * *

სურათზე: თ. კაჭარავა თამაშის დროს.

ავტორის ფოტო.

ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

მასობრივი სტარტები

მინსკი, 12 თებერვალი. ბელორუსიის დედაქალაქის სპორტულ ბაზებზე და შემოგარენში ათ დღეს „ბატონობდნენ“ რესპუბლიკის პროფკავშირების საუკეთესო სპორტსმენები, რომლებიც ზამთრის საკავშირო დღესასწაულის საგზურებისთვის იბრძოდნენ.

ამჟამინდელი სპარტაკიადა მასობრივი სტარტებით ხასიათდება. ნათხილამურევზე, საციგურაო ბილიკებზე, ჰოკეის მოედნებზე ასობით ათასი ფიზკულტურელი გამოვიდა. თვალსაჩინოდ გაფართოვდა სპორტის ზამთრის სახეობების გეოგრაფიაც. მაგალითად, თუ გომელელებს ჩვეულებრივ არ მიიჩნევდნენ მაღალი ადგილების პრეტენდენტებად, ახლა ეს აზრი შეიცვალა. 30 კილომეტრზე სათხილამურო რბოლაში სწორედ გომელელმა სტუდენტმა, 22 წლის ნ. ოსიდჩენკომ გაიმარჯვა. სპარტაკიადის ბოლო დღეს კი მან 50-კილომეტრიანი დისტანციის სტარტი სპორტის ოსტატობის კანდიდატის „როლში“ აიღო, ფინიშთან კი უკვე სპორტის ოსტატად მივიდა. ამ სამხრეთის ოლქის წარმომადგენლებმა III ადგილები დაიკავეს ბიატლონსა და ჰოკეიში.

გაგვახარეს სამთომოთხილამურეებმა. სულ ერთი წლის უკან მინსკის მახლობლად მდებარე სოფელ რაუბიჩიში სამთოსათხილამურო ბაზა გაიხსნა. ამან საშუალება მისცა სლალომისტებს, ორჭიდელებსა და „მფრინავ მოთხილამურეებს“ კარგად მომზადებულიყვნენ სტარტებისთვის. სეზონის დამდეგს ბელორუსიის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი ს. პენიგინი წარმატებით გამოვიდა სლალომის საკავშირო ტრასებზე. ამჯერად მან სპარტაკიადის ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა.

ახლა რაუბიჩიში სამთომოთხილამურეთა სპეციალიზებული სკოლა ჩამოყალიბდა, სადაც ახლომდებარე სოფლების ნორჩი ფიზკულტურელები მეცადინეობენ.

მაგრამ ვეტერანები პოზიციების დათმობას არ აპირებენ. საპატიო კვარცხლბეკზე ავიდნენ სოფლის გამოცდილი მოთხილამურეები მ. ბელჩენკოვი, ნ. გოლდოვიჩი, ი. ბულავკო, მოციგურავე მ. ლივანოვი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში I ადგილი მინსკის ოლქის წარმომადგენლებმა დაიკავეს. II ადგილზე გავიდა ვიტებსკის გუნდი, ხოლო III — გომელის ოლქის კოლექტივი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე ჩატარდება საქართველოს პირველობა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა შარშან 31 აგვისტოს მიიღო დადგენილება „მასობრივი ფეხბურთის შემდგომი განვითარების შესახებ“. ამ დადგენილების საფუძველზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ კონკრეტული ღონისძიებანი დასახა რესპუბლიკაში მასობრივი ფეხბურთის შემდგომი განვითარებისთვის.

იმ ქალაქებსა და რაიონებში, რომელთა გუნდები არ გამოდიან რესპუბლიკური პირველობის გათამაშების I და II ჯგუფებში, თებერვალ-ივნისში ადგილებზე ჩატარდება ტერიტორიული პირველობები ყველა ფიზკულტურული კოლექტივის მონაწილეობით, მას შემდეგ, რაც ადგილობრივი ფიზკულტურის კომიტეტები და ფედერაციები ფიზიკური კულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის ფეხბურთის სამმართველოში წარადგენენ ჩატარებული შეჯიბრების მთლიან ანგარიშს (თამაშების ოქმების თანდართვით), ისინი დაიშვებიან გათამაშების მეორე ეტაპზე (ივნისი-სექტემბერი).

თბილისის (2 გუნდი), აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და ქუთაისის (თითო) პირველობები ითვლება გათამაშების მეორე ეტაპად და აქ გამარჯვებული გუნდები დაიშვებიან ფინალურ თამაშებში.

დანარჩენი გუნდები ტერიტორიული დაყოფის შესაბამისად ქმნიან ზონებს, სადაც პირველობას გაითამაშებენ ორ წრედ.

ზონებში გამარჯვებული გუნდები ზემოჩამოთვლილ ექვს კოლექტივთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ რესპუბლიკურ ფინალურ შეჯიბრებაში, რომელიც აგრეთვე ორ წრედ ჩატარდება. I და II ადგილებზე გასული გუნდები გაისად რესპუბლიკური შეჯიბრების II ჯგუფში ითამაშებენ.

საქართველოს ფედერაციამ დაადგინა, რომ ზონალურ თამაშებში დაიშვებიან მხოლოდ ფიზკულტურული კოლექტივების და არა ნაკრები გუნდები, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მასობრივი ფეხბურთის შემდგომ განვითარებას.

რესპუბლიკური პირველობის გათამაშების დებულებაში ხაზგასმით, საგანგებოდაა აღნიშნული, რომ მასში მონაწილეობისთვის არ დაიშვებიან ის გუნდები, რომლებსაც არ გააჩნიათ არსებული წესების შესაბამისი სათამაშო ბაზა. მინდორი უნდა შეესატყვისებოდეს საჭირო სტანდარტს, ბაზას უნდა ჰქონდეს გასახდელები სპორტსმენთათვის, სამსაჯო ოთახი, საშხაპე, საჯდომი ადგილები მაყურებელთათვის და ა. შ.

ფეხბურთის რესპუბლიკურმა ფედერაციამ ჯერ კიდევ შარშან სპეციალური წერილით მიმართა ჩემპიონატში მონაწილე რაიონების ხელმძღვანელ ორგანოებს, რომ წესრიგში მოეყვანათ თავიანთი სპორტული ბაზები. მთელ რიგ რაიონებში მიმართეს საჭირო ზომებს და მოაწესრიგეს კიდეც სტადიონები, მაგრამ ზოგან, როგორც იტყვიან, თითი თითზე არ დაუკარებიათ, რათა თავიანთ სპორტულ ბაზებზე შეექმნათ შეჯიბრების ნორმალურ პირობებში ჩატარების შესაძლებლობა. ფედერაციამ სულ ახლახან სპეციალურად შეამოწმა ასეთი ბაზების მდგომარეობა და გამოარკვია, რომ თერჯოლის, სიღნაღისა და გეგეჭკორის რაიონების საფეხბურთო მინდვრები ვერ აკმაყოფილებენ რესპუბლიკური ჩემპიონატის ჩატარების ელემენტარულ მოთხოვნებს.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა იმსჯელა ზემოაღნიშნულ საკითხზე და დაადგინა: თერჯოლის „იმერეთი“, გეგეჭკორის „სალხინო“ და სიღნაღის „ციხკარი“ არ დაუშვას საქართველოს ჩემპიონატში. ამ გუნდებს 1 წლით შეენახებათ ადგილი რესპუბლიკური გათამაშების I ჯგუფში, მაგრამ, თუ მომავლისთვის მათი ბაზები კვლავ არ იქნა მოწესრიგებული, ისინი დაკარგავენ ადგილს I ჯგუფში.

უმოკლეს ხანში შემოწმდება რესპუბლიკის პირველობის II ჯგუფის მონაწილე გუნდების სტადიონები და მათ მიმართ, ვინც არ დააკმაყოფილებს საჭირო მოთხოვნებს, მიღებული იქნება ანალოგიური ზომები.

ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმმა განიხილა საქართველოს პირველობის გათამაშების დებულების პროექტი და დაადგინა I ჯგუფში მონაწილეობისთვის დაუშვას შემდეგი გუნდები: ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი), „მეტალურგი“ (ზესტაფონი), „ლოკომოტივი“ (სამტრედია), „კახეთი“ (თელავი), „სულორი“ (ვანი), „ალაზანი“ (გურჯაანი), „სპარტაკი“ (ცხინვალი), „ეგრისი“ (ცხაკაია), „სინათლე“ (თბილისი), „სქური“ (წალენჯიხა), „ისანი“ (თბილისი), „სამცხე“ (აწყური), „ფეიქარი“ (წულუკიძე), „მზიური“ (გალი), „ქართლი“ (გორის რაიონი), ასკ (თბილისი), „გიგანტი“ (ლაითური), „დინამო“ (ზუგდიდი), „ვარკეთილი“ (გარდაბანი), „ვარძია“ (ასპინძა), „ივერია“ (ხაშური), „შუქურა“ (ქობულეთი).

გათამაშება ამ ჯგუფში დაიწყება 28 თებერვალს, ხოლო II ჯგუფში — 8 აპრილს.

გათამაშება ორივე ჯგუფის მონაწილეთათვის ორ წრედ ჩატარდება. საქართველოს ჩემპიონი გაისად დაიკავებს „ა“ კლასის II ლიგის იმ გუნდის ადგილს, რომელიც უარეს ადგილზე გამოვა რესპუბლიკის კოლექტივებს შორის.

I ჯგუფში ბოლო ხუთ ადგილზე გასული გუნდები გაისად გადავლენ II ჯგუფში, ხოლო ამ ჯგუფის ზონებში I ადგილებზე გასული კოლექტივები I ჯგუფში გადავლენ.

II ჯგუფის ზონებში ბოლო ადგილებზე გასული გუნდები გაისად ზონალურ შეჯიბრებაში ითამაშებენ. I და II ჯგუფების გუნდები კალენდარულ თამაშზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში გათამაშებიდან მოიხსნებიან.

შეჯიბრებაში მონაწილე გუნდების მოთამაშეები არ დამტკიცდებიან კოლექტივის შემადგენლობაში, თუ მუდმივად, 2 წლით ადრე არ არიან ჩაწერილი იმ ქალაქში ან რაიონში, რომლის გუნდის საგანაცხადო სიაშიც არიან შეყვანილი. კურსდამთავრებულ სტუდენტებს, რომლებსაც გაანაწილებენ ქალაქებსა და რაიონებში, უფლება ეძლევათ გადავიდნენ იმ ქალაქის ან რაიონის გუნდში, სადაც მათ მუდმივ სამუშაოზე მიავლენენ. საბჭოთა არმიის რიგებიდან დემობილიზებულთ უფლება ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ იმ ქალაქის ან რაიონის გუნდებში, სადაც მუდმივად არიან ჩაწერილი, ხოლო სასწავლებელში ახალჩარიცხულ სტუდენტს უფლება ეძლევა ითამაშოს იმ ქალაქის ან რაიონის გუნდში, სადაც იგი სტაციონარულ სწავლებას გადის.

საქართველოს პირველობაში სათამაშოდ დაიშვებიან ფეხბურთელები, რომლებსაც შეუსრულდათ 17 წელი. I და II ჯგუფების საგანაცხადო სიებში ნებადართულია 18 ფეხბურთელის შეყვანა და წლის განმავლობაში ამ სიაში შეიძლება 5 ახალი ფეხბურთელის შეყვანა.

I და II ჯგუფების გუნდებს ყოველ მატჩში უნდა მონაწილეობდეს 6 ახალგაზრდა ფეხბურთელი (1948-49 და მომდევნო წლებში დაბადებულნი). დანარჩენთა ასაკი შეზღუდული არ არის.

გ. ბაქანიძე,
საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარე.

მიზანი — ოსტატობა

დიდი და სერიოზული საუბარი გაიმართა „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს პლენუმზე: თუ როგორ უნდა შეხვდნენ მისი ფიზკულტურული ორგანიზაციები და სპორტსმენები საქართველოსა და სსრ კავშირის ხალხთა მომავალ სპარტაკიადებს.

ორივე მოხსენება, რომლებიც პლენუმის მონაწილეებმა მოისმინეს (მომხსენებლები — „განთიადის“ საორგანიზაციო-მასობრივი განყოფილების გამგე ტ. კიკნაველიძე და სასწავლო-სპორტული განყოფილების გამგე ბ. ზაქანოვი) გამსჭვალული იყო ერთი მისწრაფებით — გაუმჯობესდეს მასობრივ-ფიზკულტურული, სპორტული და გამაჯანსაღებელი მუშაობის მდგომარეობა სპორტსაზოგადოებაში.

პლენუმის მონაწილეებმა აღნიშნეს მნიშვნელოვანი ძვრები „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს საქმიანობაში.

განთიადელებმა ბევრი მედალი მოიგეს საკავშირო და რესპუბლიკურ სარბიელზე კლასიკურ ჭიდაობაში, სპორტულ ტანვარჯიშში, სიმძიმეების აწევაში, აფროსნობაში, ტყვიისა და სატენდო სროლაში, წყალში ხტომაში, ჩოგბურთში... სპორტსაზოგადოებას ახლა ჰყავს საუკეთესო სპორტსმენები — მოჭიდავეები მაჭავარიანი, თედიაშვილი, ტატიშვილი, სირბილაძე, მსროლელი დარასელია, ძალოსნები შანიძე და თარქილი, ტანმოვარჯიშე დრონოვა, ჩოგბურთელი ივანოვა და სხვ.

„განთიადის“ 80 სპორტსმენი შედის საქართველოს ნაკრები გუნდების კანდიდატთა სიაში სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისათვის. ეს პატარა ციფრი როდია.

მხოლოდ შარშან „განთიადის“ რიგებში აღიზარდა 45 სპორტის ოსტატი, 60 ოსტატობის კანდიდატი, 600-მდე პირველთანრიგოსანი, 23.800-ზე მეტი სხვა თანრიგების სპორტსმენები.

სპორტსაზოგადოების საუკეთესო კოლექტივებია: სპორტკლუბები „განთიადი“, „ფეიქარი“, „ფოლადი“, მაუდ-კამვოლის კომბინატი „საბჭოთა საქართველო“, ფეხსაცმლის ფაბრიკა № 1 „ისანი“, გორის ბამბეულის კომბინატი, ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხანა და სხვ.

105 ათასზე მეტი მუშა-მოსამსახურე ჩაბმულია საწარმოო ტანვარჯიშში, 34 ათასამდე მშრომელი სისტემატურად მეცადინეობს გამაჯანსაღებელ ჯგუფებში. ყოველივე ეს მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის მასობრიობისა და ოსტატობის შემდგომი ზრდისთვის.

კამათში მონაწილეობა მიიღეს გ. კალანდაძემ (ბათუმის „განთიადის“ საცურაო აუზის დირექტორი), ლ. ვეჩხაიზერმა („განთიადის“ ცენტრალური საბჭოს უფროსი მწვრთნელი ცურვაში), ი. სანგულიამ („განთიადის“ აფხაზეთის საბჭოს თავმჯდომარე), ვ. კლიმოვამ (თბილისის დიმიტროვის სახელობის ქარხნის ნორჩ ტანმოვარჯიშეთა მწვრთნელი), ვ. შალამბერიძემ (თბილისის კიროვის სახელობის ქარხნის მთავარი ენერგეტიკოსი) და სხვანი, რომლებიც ლაპარაკობდნენ მიღწეულ წარმატებებზე, აღნიშნავდნენ არსებულ ნაკლოვანებათა დაძლევის გზებს. კერძოდ, წამოიჭრა საკითხი, რომ მწვრთნელთა ნაწილს აკლია საჭირო კვალიფიკაცია, რემონტის გამო ჭიანურდება სპორტული ბაზების მწყობრში ჩადგომა, ჩამორჩებით მაღალი კლასის სპორტსმენთა მზადების მეთოდიკაში, მთელი რიგი საბჭოები დაბალ დონეზე დგანან სპორტის წამყვან სახეობებში.

სიტყვით გამოვიდა პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა საკავშირო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ხრომოვი.

პლენუმის შედეგები შეაჯამა „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბოჭორიძემ. განხილულ საკითხებზე მიღებულია დადგენილება.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს პროფსაბჭოს მდივანმა ო. ცანავამ.

ბ. კოვალიოვი.

ანგარიშგება-არჩევნები

იმსჯელეს ავ-კარგზე

— ჩვენს რაიონში საგრძნობლად გაუმჯობესდა ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობა, იმატა შეჯიბრებათა რიცხვმა და ხარისხმა. რაც მთავარია, გადაჭარბებით შესრულდა თანრიგოსნების, მსაჯებისა და ინსტრუქტორების მომზადების წლიური გეგმა, — თქვა თავის საანგარიშო მოხსენებაში „კოლმეურნის“ თერჯოლის რაისაბჭოს კონფერენციაზე საბჭოს თავმჯდომარემ ი. სულაქველიძემ.

მომხსენებელმა აქტივს გააცნო მოჭადრაკეთა, მოჭიდავეთა გუნდების წარმატებები და, რა თქმა უნდა, მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებიც. მან ქებით მოიხსენია ფიზკულტურის მეთოდისტები თ. ბერძენიშვილი (თერჯოლის სანერგე მეურნეობა), ვ. კახაძე (სიქთარვის კოლმეურნეობა), ე. ლანჩავა (ჭოგნარის კოლმეურნეობა) და ლ. ჯიშიაშვილი (ნახშირღელის კოლმეურნეობა). ამ მეთოდისტების ხელმძღვანელობით კოლმეურნე-სპორტსმენები სისტემატურად მონაწილეობენ რაიონულ შეჯიბრებებში. მომხსენებელი მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის კიდევ ბევრ საკითხს შეეხო და ისიც აღნიშნა, რომ რაიონის ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო არტელს ჯერ კიდევ არ გააჩნია მარტივი ტიპის მოედნები.

სიტყვებით გამოვიდნენ თერჯოლის კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანი თ. ბერძული, რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ა. ჩარექიშვილი, სპორტსკოლის დირექტორი ლ. ქავთარაძე, „განთიადის“ რაისაბჭოს თავმჯდომარე ჭ. უკლება, ჭოგნარის კოლმეურნეობის მეთოდისტი ე. ლანჩავა, ნახშირღელის კოლმეურნეობის ფიზკულტურის მეთოდისტი ლ. ჯიშიაშვილი, ქვედა სიმონეთის საშუალო სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. მესხი, „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს მთავარი ინსტრუქტორი დ. ნანობაშვილი და სხვ.

კონფერენციამ შემდგომი მუშაობის ვრცელი გეგმა დასახა. აირჩიეს რაისაბჭოს ახალი შემადგენლობა. თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია ი. სულაქველიძე.

ჯ. ლევანიძე.

თერჯოლა.

პირველად...

აფხაზეთის დედაქალაქში დამთავრდა ბავშვთა და მოზარდთა № 2 სპორტსკოლის ღია პირველობა სამბოში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სოხუმის რაიონის სოფელ ოდიშის, „ტრუდისა“ და სპორტსკოლის აღსაზრდელები. სოხუმში სამბისტთა ასეთი ტურნირი პირველად ჩატარდა. ბრძოლაში ჩაება 46 თანრიგოსანი.

ორდღიანი შეჯიბრების შემდეგ წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ვ. მეშველდეშვილი, გ. მაისურაძე (ორივე ოდიში), ზ. გვასალია, ე. ბელქანია, ი. კომახიძე, ა. არგვლიანი (ყველა — სპორტსკოლა), რ. მაისურაძე (ოდიში), ლ. ადამაძე (სპორტსკოლა), გ. მაისურაძე (ოდიში) და ზ. კვანტალიანი (სპორტსკოლა).

ქვემძიმე და მძიმე წონებში თითო მონაწილე გამოცხადდა და ამიტომ პირველობა არ გათამაშებულა.

აღსანიშნავია პირველთანრიგოსნების ე. მაისურაძისა და ე. ბელქანიას (მსუბუქი წონა) ფინალური შეხვედრა. მაღალტექნიკური ჭიდილით მათ მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს.

გ. იაშვილი.
(ჩვენი კორ.)

სოხუმი.

რაიონების სტადიონებზე

✦ ოჩამჩირე

გაიმართა მოსწავლეთა სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო მძლეოსნობა, კალათბურთი, ფრენბურთი, ხელბურთი, ფეხბურთი, მაგიდის ჩოგბურთი და ჭადრაკი. კომპლექსურ ჩათვლაში პირველობა არავის დაუთმეს მეორესკოლელებმა. მათ I ადგილები მოიპოვეს მძლეოსნობაში, ფრენბურთსა და ჭადრაკში, ხოლო დანარჩენ სახეობებში II ადგილებს დასჯერდნენ.

რ. ჭედია.

✦ ცხინვალი

სამხრეთ ოსეთის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა პირველობაში ქ. ცხინვალის, ლენინგორისა და ცხინვალის რაიონების 45 სპორტსმენი ასპარეზობდა. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ვ. ქუმარიტოვმა (სპორტსკოლა), რ. ცხოვრებოვმა („განთიადი“), მ. ფლიევმა („ბურევესტნიკი“), რ. გერგაულოვმა („განთიადი“), რ. ვალიევმა, დ. ბერუაშვილმა (ორივე — „ბურევესტნიკი“), ლ. კესაევმა („კოლმეურნე“). უმჩატეს, ქვემძიმე და მძიმე წონებში პირველობა არ გათამაშებულა.

ვ. მელქოევი.

✦ ზუგდიდი

ზედა ეწერის მეურნეობა-ტექნიკუმში დიდი ყურადღება ექცევა ფიზკულტურასა და სპორტს. სასწავლებლის ფიზკულტურული კოლექტივის სხვადასხვა სექციაში გაერთიანებულია 200-ზე მეტი მოსწავლე. მათს განკარგულებაშია ფეხბურთის მინდორი, ფრენბურთის, კალათბურთისა და ხელბურთის მოედნები, საჭიდაო დარბაზი. ახლახან ტექნიკუმელებმა ახალი სპორტდარბაზი მიიღეს, ახლო მომავალში კი მწყობრში ჩადგება კომპლექსური სტადიონი, რომელსაც ექნება ფეხბურთის მინდორი, მძლეოსნური სექტორები, ფრენბურთის, კალათბურთისა და ხელბურთის მოედნები.

ბ. ალშიბაია.

✦ ქარელი

18 ქარელელი მოჭადრაკე მონაწილეობდა რაიონის პირველობაში, რომელიც საბჭოთა საქართველოს იუბილეს მიეძღვნა. როგორც შარშან, ჩემპიონის სახელი წლეულსაც სოფ. ქვენატკოცის საშუალო სკოლის მასწავლებელმა ს. თოთლაძემ დაისაკუთრა. II ადგილზე გავიდა აგარის ავტოსატრანსპორტო წარმოების ინჟინერი შ. ხეროშვილი, III — ქარელის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი ა. შალუტაშვილი.

გ. ხარატიშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

• • •

სურათზე: ს. თოთლაძე.
ს. პოლოხიანის ფოტო.

შენიშვნები საფეხბურთო სეზონის გამო

4. ფეხბურთის დრამატურგია

საკმარისია მინდორზე დავინახოთ ხალასი ოსტატობის ნიმუში, რომ მყისვე გაისმის ტელეკომენტატორთა აღტაცებული შეძახილი: ოჰ, რა მშვენივრად გადმოიღეს, რა სწრაფად აითვისესო. ერთი სიტყვით, რასაც კარგს დაინახავენ, ყველაფერი მსოფლიო ჩემპიონატიდან გადმოღებულად მიაჩნიათ. მაგრამ ეს სულაც არ გახლავთ ასე. ჩვენ მექსიკის ჩემპიონატამდეც მშვენივრად ვიცოდით, რა არის კარგი ფეხბურთი, მექსიკამდეც შეგვეძლო კარგად თამაში. ამიტომ იაფი აღტაცება აქ ორგზის უადგილოა. ჯერ ერთი, როგორც მოგახსენეთ, ჭეშმარიტებას არ შეეფერება ის აზრი, რომ საბჭოთა ფეხბურთში ყველაფერი კარგი შემოტანილია. მეორე, არ არის მართალი, თითქოს საბჭოთა ფეხბურთელებისთვის, საკმარისია დაინახონ სუპერდიდოსტატური თამაში, რომ ჯადოსნური ჯოხის ძალით თავადაც ასევე სუპერდიდოსტატურად ათამაშდნენ. ჯერჯერობით არსებითი არაფერი შეცვლილა. სასწაულები არ ხდება. მიზნის მიღწევას ჯერ კიდევ დიდი დრო დასჭირდება.

სხვისი გამოცდილება არ შეიძლება მექანიკურად გადმოიტანო შენს ნიადაგზე. ერთ დროს ჩვენშიც იყო ცდები, რომ საბჭოთა ფეხბურთი რომის პაპზე უფრო კათოლიკურად ექციათ. მოდის მიმდევრები სიზმრადაც კი იმას ხედავდნენ, რომ საბჭოთა ფეხბურთელები ხან წმინდა ბრაზილიურად თამაშობდნენ, ხან წმინდა ინგლისურად. თამაშობდნენ ყველა ყაიდაზე, გარდა საკუთარისა, თამაშობდნენ ყოველნაირად, ოღონდ არა საკუთარი პირობებისა და თავისებურებების, ცალკეული გუნდებისა და მოთამაშეების დამახასიათებელი თვისებების შესაბამისად.

პირველ ყოვლისა რა თავისებურებები გვაქვს მხედველობაში? სტილისა, ტრადიციული თავისებურებები, რომლებიც განსაკუთრებულ, განუმეორებელ სახეს აძლევენ ამა თუ იმ ფეხბურთს, რომლებიც ან დიდი ხნიდან ჩამოყალიბებული წმინდა სათამაშო ხელწერიდან გამომდინარეობენ, ან უფრო ღრმადა აქვთ ფესვები გადგმული თამაშის გემოვნებაში, მინდორზე ქცევაში, ყველაფერში, რაშიც გამუდმებით ვლინდება მოთამაშეთა ეროვნული ხასიათი. აქ საქმე გვაქვს შეუთავსებლობის ხაკუთარ კანონებთან და ადამიანს არ შეუძლია რაღაც ძალით მოახვიოს თავს, მექანიკურად მისცეს მას რამე უცხო. ეს იმას ჰგავს, არყის ხის გახარება სამხრეთში მოინდომოს კაცმა, პალმისა კი ჩრდილოეთის სუსხში.

ახლა კი ნება მომეცით დავუბრუნდე მექსიკის გაკვეთილებს ტაქტიკაში. მექსიკაში ტაქტიკამ გადაჭრით აირჩია იერიშის ტრუბადურის როლი. ერთ დროს მისთვის ხელსაყრელი იყო დაცვა, ორივე მხარის ფეხბურთელების თავიანთ კართან თავმოყრა და ამგვარად მეტოქის მინდვრის ნახევრის გაშიშვლება. სიმჭიდროვეში უფრო იოლი იყო დაცვა, სხვის სივრცეებზე კი უფრო თავისუფლად შეიძლებოდა იერიშის გაშლა, მაგრამ, როცა ყველამ ერთხმად მოისურვა მაინცდამაინც კონტრიერიშზე ეთამაშა, ეს უკვე აღარ გამოვიდა.

კონტრიერიში კარგია იერიშით ზომაზე მეტად გატაცებული მეტოქის წინააღმდეგ, როცა შეტევას ახორციელებს მეტოქის დაცარიელებულ მოედანზე ორი ან სამი ფეხბურთელი, რომლებიც მოულოდნელად ესხმიან თავს მოწინააღმდეგეთა ერთ-ორ მოთამაშეს. მაგალითად, ქვეყნის შარშანდელი ჩემპიონატის მეორე წრეში ტორპედოელებმა შალიმოვმა და აბრამოვმა ასე გაიტანეს ლამაზი გოლი მოსკოვის „სპარტაკის" კარში. ასევე გაიტანა გოლი ბრაზილიელების კარში იტალიელმა ბონისენიამაც. მაგრამ, როცა მინდვრის 7-8 მოთამაშე ორივე გუნდიდან ფეხმოუცვლელად დაცვაში დგას, ამას უკვე არავისთვის მოაქვს სარგებლობა და ყველას აიძულებს რაღაც სხვა გამოსავალი მოძებნონ. ასეა, რადგან ფეხბურთში მთავარი ამოცანა უპირატესობის მოპოვებაა. როცა უპირატესობა არ არის ან იკარგება, ფეხბურთში იწყება ამ უპირატესობის შეუპოვრად ძიება. ასე მოხდა ამჯერადაც. მით უმეტეს, რომ ფეხბურთი ვერასგზით ვერ შეურიგდებოდა დაცვითი საწყისის ასე გამძლავრებას, რადგან ეს მას უგოლობისა და უფერულობის სენისგან სიკვდილით ემუქრებოდა. ერთი სიტყვით, ტაქტიკა იძულებული გახდა გემოვნება შეეცვალა.

მაგრამ ის, რაც ამჟამად საფეხბურთო მინდვრებზე ხდება, არავისთვის ახალ ამბავს არ წარმოადგენს. ფეხბურთისთვის დიდი ხანია ცნობილია მანევრირების საიდუმლოებანი, რომლებიც რაც შეიძლება მეტი ძალებით იერიშისა თუ დაცვის საშუალებას იძლევიან. მან ამ წესს მხოლოდ დროებით შეაქცია ზურგი, რადგან კონტრიერიშების სიმწვავითა და შედეგიანობით იყო მოხიბლული. მართლაც, თუ მცირერიცხოვანი იერიშები უფრო მწვავეა, ეს ერთბაშად ორი კურდღლის დაჭერის საშუალებას იძლევა.

დაცვაში ძალების თავმოყრა საშუალებას გვაძლევს უფრო გავამაგროთ იგი. ამასთანავე, წინა ძალების შემცირება იერიშის გამწვავების საშუალებას გვაძლევს. თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ როგორც გაირკვა, ძალთა ასეთი განაწილება მოითხოვს, რომ მეტოქის ძალები სხვაგვარად იყოს განლაგებული — წინ ბევრი, უკან ცოტა.

ფეხბურთი დაცვითი ჰიპერტროფიის ჩიხში მოექცა. ყველამ მოინდომა თავისი მთავარი ძალები საკუთარი კარის ახლოს ჰყავდეს. მეტოქის ასეთი მჭიდრო დაცვის გარღვევა კი მხოლოდ კაპიტალური იერიშით, ფეხბურთელთა დიდი რიცხვის მონაწილეობით შეიძლება. კონტრიერიშებმა დროებით დაკარგეს ხელში ჩაგდებული მთავარი როლი და მნიშვნელობა მთლიანად დაუბრუნეს მტრის ბასტიონების გეგმაზომიერ ალყასა და მძლავრ იერიშს. როგორც არასდროს, განვითარდა მთავარი ძალების წინ და კვლავ უკან მოძრაობა. წრე ჩაიკეტა, თუმცა თამაშის ორგანიზაციის უფრო მაღალ დონეზე.

ფეხბურთმა მხნედ განუცხადა თავის თავს: „რა ვუყოთ, რომ ყველა ფაზაში მოთამაშეთა დიდი უმრავლესობის მონაწილეობაა საჭირო. რატომ ვიჯდე ზურგში, როცა წინ ბრძოლაა გაჩაღებული? მით უმეტეს, რომ ფეხბურთელთა დიდი რაოდენობის თავმოყრა ერთდროულად წინ ან უკან აუცილებელი არ არის. როცა იერიშში ბევრი ფეხბურთელის მონაწილეობა გვჭირდება, მაშინ ეს საჭირო არ არის დაცვაში და პირიქით".

ამ მიზნით ჩვენი გუნდების უმეტესობა შეტევაზე გადასვლის დროს ცდილობს რაც შეიძლება სწრაფად გაიაროს მინდვრის შუაგული, ხოლო დაცვაზე გადასვლის დროს მეტოქის სწრაფი იერიშის ძირშივე მოსპობის მიზნით კარის შორეულ მისადგომებთან თავგანწირულ წინააღმდეგობას ქმნის. მაგრამ უცხოეთის საუკეთესო გუნდები, მათ შორის, მექსიკის ჩემპიონატის მონაწილე კოლექტივები, ბურთის დაკარგვისთანავე დაცვასა და ნახევარდაცვის მთავარი ძალებით მყისვე უკან იხევენ, ამოსავალი დაცვითი საზღვრებისკენ, შუა მინდორზე საარიერგარდო ბრძოლებს კი მხოლოდ თავდამსხმელთა მეშვეობით წარმართავენ.. ეს მართლაც უფრო მარტივი, უფრო საიმედო და ენერგიის ხარჯვის მხრივ უფრო ეკონომიური გზაა.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ მეტოქის იერიშის შეჩერების ერთ ტექნიკურ და ტაქტიკურ ხერხზე, რომელიც ჩვენში არ გამოიყენება. აი, მეტოქე დაცვის სიღრმიდან გრძელი გადაცემით გზავნის ბურთს წინ ფლანგზე თავისი თავდამსხმელისკენ. ახლა, თუ მცველი წააგებს ამ ბრძოლას, მეტოქის შეტევას მყისვე ოპერატიული სივრცე მიეცემა. რა გზას მიმართავს ასეთ შემთხვევაში ჩვენი მცველი? იგი ან დაუყოვნებლივ ეცემა ბურთის მქონე მოწინააღმდეგეს ან ერთ ადგილზე გაიყინება და იცდის. ეს ხელს არ უშლის მოვლენათა სწრაფ განვითარებას. თამაში ვა-ბანკშია. მცველს შეუძლია მყისვე ხელში ჩაიგდოს ბურთი. თუ ვერ ჩაიგდო? თუ მოატყუეს? მაშინ საქმე ცუდადაა. ასეთი სიტუაცია რამდენიმეჯერ შეექმნათ ინგლისელებს მექსიკაში ბრაზილიელებთან შეხვედრის დროს. ჟაირზინიომ ბურთი მიიღო და უდიდესი სისწრაფით მიჰქროდა მეტოქის მცველისკენ. მაგრამ ეს უკანასკნელი არ ჩქარობდა. იგი არ იძლეოდა თავის მოტყუების საშუალებას, ანელებდა ჟაირზინიოს სისწრაფეს, მის წინ უკან-უკან იხევდა, ამით დროს იგებდა და ამხანაგებს დაცვის შემჭიდროების საშუალებას აძლევდა. ამას მარტო ინგლისელები როდი აკეთებდნენ. ეს ძალიან კარგი ხერხია და ჩვენც უნდა გამოვიყენოთ. მაგრამ იმისთვის, რომ, როგორც ჰოკეიში, შევძლოს შენსკენ მომავალ მეტოქეს თვალი არ მოაშორო, თან სწრაფად უკან-უკან იხევდე (ზურგით წინ სირბილი, სპეციალისტთა უხერხული ტერმინოლოგიით), ჯერ ეს ხერხი უნდა შევისწავლოთ.

მაშ ასე, ფეხბურთის წინაშე მთელი თავისი საზრუნავითა და შედეგით დადგა მასირებული იერიშის პრობლემა. ბევრი ფეხბურთელი კარგია, მაგრამ თავისთავად ეს კიდევ არ წყვეტს მჭიდრო თავდაცვის გადალახვის ამოცანას. ეს მხოლოდ წინაპირობაა მრავალრიცხოვან დაცვასთან წარმატებით ბრძოლისა. მაგრამ როგორ გადავლახოთ იგი?

ყველა როდი ურიგდება აზრს, რომ ეს გადალახვა აუცილებელია მაშინ, როცა დაცვა უკვე სავსებით მობილიზებულია. გვიან არისო, ფიქრობენ ისინი. ასეა თუ ისე, მეტოქის დაცვასაც სჭირდება ძალის მოკრება. მაშ ასე — ვინ ვის? მეტოქეს სურს იერიშისთვის გადაჯგუფება დაასწროს მოწინააღმდეგის დაცვის გადაჯგუფებას, დიდი ძალებით გაანადგუროს დაცვა, რომელიც წინააღმდეგობისთვის ბოლომდე ჯერ კიდევ არ არის მზად. ასეთ თამაშში მთავარია რაც შეიძლება სწრაფად გადალახო შუა მინდორი. თუმცა, ნუღარ გავიმეორებთ. ასეთი ჩქაროსნული ტაქტიკის ლოგიკაზე და მასთან დაკავშირებულ დანაკარგებზე უკვე გვქონდა ლაპარაკი.

მექსიკაში ამოცანის სხვაგვარად გადაწყვეტის მოწმე გავხდით. მაღალი კლასის ფეხბურთმა არ ისურვა აჩქარების გამო დათმობაზე წასვლა. მათს საპირისპიროდ, ვინც ცდილობს კიხე დაცვის გამაგრებამდე აიღოს, ეს ფეხბურთი უკვე გამაგრებული ციხის აღებას ცდილობს. და აი, აქ გამოვლინდა ყველაზე ნათლად იერიშის მომზადების მნიშვნელობა. ვინც ცდილობს მეტოქის დაცვის ორგანიზაციას დაასწროს, ის იერიშებს მოუმზადებლად ატარებს. წინ და წინ! სულმოუთქმელად! თანაბარი და სწრაფი ტემპით.

მექსიკაში მსოფლიოს საუკეთესო გუნდები ასე არ თამაშობდნენ. იქ იერიშის მომზადებას თამაშის ერთ-ერთ სრულიად დამოუკიდებელ სტადიად მიიჩნევენ. აქ იმალებოდა ყველაზე მთავარი და ახალი, რაც თავდასხმითი მოქმედების ორგანიზაციაში გამოვლინდა. ფეხბურთელები, ზუსტად ისევე როგორც კალათბურთში, უეცრად იწყებდნენ ბურთის გაუთავებლად ტრიალს შუა მინდორში. ასე გრძელდებოდა დაცვის პირველ შეცდომამდე, სუსტი ადგილის გამოაშკარავებამდე. და მაშინ იწყებოდა იერიში, აფეთქება, უდიდესი ტემპი, უდიდესი სისწრაფე, უმაღლესი ოსტატობა.

აქ ჯერ თვალისჩინივით უფრთხილდებიან ბურთს, მერე კი ერთბაშად გაშლიან ხელს, ჯერ თითქოს არაფრით არიან დაინტერესებული, მერე მთელ ძალას გამოავლენენ. ეს იმპულსური რიტმია. ესაა ასჯერ გაზომე და ერთხელ გასჭერიო, ესაა მზადების ყოველი პერიოდის შემდეგ საკუთარი სვლა, ნაკლებ მექანიკურ და უფრო მეტად მოთამაშეთა შემოქმედებაზე დამყარებული. ამიტომ ასეთი კოლექტიური თამაში გაცილებით უფრო გამომგონებლობითია, ორიგინალური, სიურპრიზებით აღსავსე. ფეხბურთელის ინტელექტი—მისი შემოქმედებითი პოტენციალი და ათასნაირი სიტუაციის გაგების უნარი. განა შეიძლება დღეს ტაქტიკაში ეს ფაქტორი სათანადოდ არ შევაფასოთ?

დიახ, იერიშის მომზადება იმ სახით, როგორითაც მექსიკაში ვიხილეთ, თანამედროვე ფეხბურთის მნიშვნელოვანი მიღწევაა. მაგრამ სასაცილოა მასში პანაცეა დავინახოთ. იგი მხოლოდ საძირკველს უყრის დასაწყისს, ხელს უწყობს შემდგომ მოქმედებათა წარმატებით განვითარებას. ეს არის და ეს. როგორც წესი, მზადება თავისთავად ჯერ კიდევ არ წყვეტს, არ განაპირობებს ფატალურ ბოლოს, გოლის გარანტიას არ იძლევა. ეს ყველაფერი შემდგომ უნდა შეძლო იერიშის სიუჟეტების გათამაშებითა და წარმატებით დაგვირგვინებით.

საშემსრულებლო ოსტატობა და სიუჟეტი, აი, რისგან შედგება საფეხბურთო მოქმედება. მაგრამ როგორ იქმნება ასე სწრაფად ეს პატარა მძაფრი საკონფლიქტო ფაბულის საფეხბურთო ეპიზოდები, რომელთა გათამაშებასაც ასევე ერთ წამში ახერხებენ ფეხბურთელები სხვისი კარის წინ გამართულ „სცენაზე"?.

საიდან მოდის ეს დრამატურგია? ვინ არის ავტორი ამ უაღრესად სიუჟეტური, თითოეპიზოდიანი „პიესებისა", რომელთაც საკუთარი კვანძიცა აქვთ, კულმინაციაც და კვანძის გახსნაც?

ეს პიესები ზოგჯერ მეხსიერების ბიბლიოთეკაში მოიძებნება ხოლმე, რომელიც საჭიროების შემთხვევაში მყისვე შესთავაზებს ფეხბურთელს რაიმეს უკვე გამზადებული დრამატურგიული რეპერტუარიდან, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში იგი იქმნება საჭიროების მიხედვით, უსასტიკესი ცაიტნოტის დროს. რაც უფრო ახლოს ხარ კართან, მით უფრო სწრაფად ვითარდება სიტუაციები მათს სასარგებლოდ, ვისაც უფრო სწრაფი ორიენტაციის უნარი აქვს, ვინც უფრო სწრაფად ქმნის და ახორციელებს უფრო გამოსადეგ და მოულოდნელ სიუჟეტებს. მსახიობი თავადვეა დრამატურგი ამ თავისებურ საფეხბურთო ბლიცშემოქმედებაში. ეჭვი არ არის, ვარსკვლავი გამოირჩევა არა იმდენად საშემსრულებლო ოსტატობით, რამდენადაც ორიენტაციის, აგრეთვე, სიუჟეტური აზროვნების სისწრაფის დონითა და ხარისხით. ასეა თუ ისე, რაც უნდა გამოცდილი იყოს მეტოქე თავის საჯარიმო მოედანზე, ეშმაკური სვლებითა და შესრულების მაღალი ხელოვნებით მუდამ შეიძლება მისი დაჯაბნა, მოტყუება, დაბნევა, დაცვის გარღვევა და კარისკენ გაჭრა. იმიტომ გაჰქონდათ ბურთები ბრაზილიელებს, როგორც ბევრ სხვას მექსიკაში, რომ შეეძლოთ ყოველი გოლი ინდივიდუალური ოსტატობისა და საფეხბურთო დრამატურგიის პატარა სასწაულად ექციათ.

თუმცა წმინდა მექანიკის თაყვანისმცემლები ნუ აღელდებიან. მექსიკაში სასწაულებრივი არაფერი ხდებოდა. არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან გოლის გატანის ერთადერთი გზაა ან გადაცემის შემდეგ, ან კარის გასწვრივი გადაცემის დაუფლებით, ან სოლური გასვლის შედეგად ბურთის ბადეში მოთავსება. საქმე ისაა, როგორი და რა ხარისხისაა მინდორზე ასეთი ხერხებით განხორციელებული ჩანაფიქრი. აქ საჯარიმო მოედანზე მაღალი გადაცემების შესახებ უკვე ნათქვამს გარდა, გვინდა კიდევ შევჩერდეთ ზოგიერთ საკითხზე.

გახსოვთ, როგორ გაიტანეს გოლი ბრაზილიელებმა ინგლისელთა კარში? ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ტოსტაომ საჯარიმო მოედანზე სამ მცველს ერთად დაუკარგა თავგზა. ეს მცველები ერთად გაცვივდნენ ტოსტაოსკენ, რადგან მისი მანიპულაციები ბურთით აუცილებელი გოლით უნდა დამთავრებულიყო. ის, რასაც ტოსტაო აკეთებდა, იყო არა იმდენად მოტყუება, რამდენადაც ერთდროულად რამდენიმე მოთამაშის ბრძოლით შეყოლიება. ტოსტაომ თავისას მიაღწია. მისი პოზიცია და იმიტაციური მოქმედება იმდენად სახიფათო იყო, იმდენად ადუნებდა ყურადღებას, რომ პელესკენ გადაცემამ დაცვა საბოლოოდ დააბნია. ეგონათ, რომ ამ გადაცემას დარტყმა მოჰყვებოდა, მით უმეტეს, რომ პელეს თავისუფლად შეეძლო ეს. ბოლოს მცველები მისკენ გაცვივდნენ, მაგრამ როცა არც პელემ დაარტყა კარში და ჟაირზინიოს გაუგორა ბურთი, აღარავინ დარჩა, რომ ამ უკანასკნელისთვის ხელი შეეშალა.

ეს შემთხვევა გამონაკლისი არ იყო, როგორც წესი, მექსიკაში მჭიდრო დაცვა არავის უშლიდა ხელს, რომ ყველასთვის მოულოდნელად ყველაზე სახიფათო ადგილზე აღმოჩენილიყო. როგორ რჩებოდა ეს ადგილი უმეთვალყურეოდ? რატომ არ ჰყავდა ამ ფეხბურთელს დარაჯი? იქნებ იგი გადაცემის დროს მოხერხებულად უძვრებოდა ხელიდან მცველს? არა, ასეთ შემთხვევებზე როდი გვაქვს ლაპარაკი. მით უმეტეს, რომ მცველისგან თავის დაღწევა მარტო, სხვის დაუხმარებლად და ისიც ყველაზე მოსახერხებელ ადგილზე გასვლა თითქმის შეუძლებელია, ვინაიდან საჯარიმო მოედანზე ამ დროს ტევა არ არის. რაც კიდევ უფრო საოცარია, გადაცემას ყოველთვის მოძრაობაში როდი იღებდნენ. თურმე შეიძლება ადგილზე იდგე, დარაჯი „დაკარგო" და გადმოცემული ბურთი მაინც მიიღო. მაგრამ როგორ? გადავხედოთ გადაცემის მექანიკას. ჩვეულებრივი ბურთის მიღებისთვის საჭიროა დამოუკიდებლად გაითავისუფლო თავი, თუ გაითავისუფლე — მიიღებ.

მაგრამ, ვიმეორებთ, დღეს საჯარიმო მოედანზე ისეთი სიმჭიდროვეა შექმნილი, ასეთი ხერხით თავის გათავისუფლება და ისიც დაცვისთვის სახიფათო ადგილზე, თითქმის შეუძლებელია. სხვა რა შეიძლება — ფეხბურთელმა მარტომ სცადოს გარღვევა? მეტოქის კარის სიახლოვეს გადაცემებით თამაში შეწყვიტოს? ამ შეკითხვებზე თანამედროვე ტაქტიკამ გასცა პასუხი. როცა პარტნიორებს უჭირთ დამოუკიდებლად თავის გათავისუფლება, ამ მხრივ ინიციატივას, მათთვის მწვავე პოზიციის მომზადებას თავის თავზე იღებს ის, ვისაც ბურთი აქვს.

საჯარიმო მოედანი უამრავ საფრთხეს უმზადებს მას, ვინც თავს იცავს, და თუ ბურთით მოთამაშე კარგ პოზიციაშია, თუ იგი სახიფათო მოქმედებას გაშლის, რა გასაკვირია, რომ ეს მოთამაშე დაბნეულობას გამოიწვევს მეტოქის ბანაკში და თავისკენ მიიზიდავს რამდენიმე მცველს. ამგვარი ქცევით იგი თავის პარტნიორს უქმნის მოქმედების თავისუფლებას. ისღა რჩება, რომ ბურთი პარტნიორს დროულად გადაეცეს. ასე ათავისუფლებდა გადაცემებისთვის პელე ტოსტაოსაც, რიველინოსაც, ალბერტოსაც, ჟაირზინიოზე ხომ აღარას ვამბობთ. მიულერმა ასე შეუქმნა გოლის გატანის საშუალება ოვერატს. ასევე უძლური იყო დაცვა სხვა თავდამსხმელთა წინაშეც, რომლებიც საოცრად დაუბრკოლებლად განაგებდნენ ბურთს და გოლები გაჰქონდათ. ამ ტაქტიკამ ახალი შესაძლებლობები გამოავლინა მჭიდრო დაცვის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ იმისთვის, რომ წარმართო იერიში, პირველ ყოვლისა საჭიროა შეტევის სურვილი გქონდეს, იერიშის გემო იცოდე. ესაა ყველაფრის სათავე. ჩვენი გუნდი კი მექსიკაში ტაქტიკურად ცუდად შეიარაღებული გამოვიდა — ორ ფარს იფარებდა და ხმალი კი არსად უჩანდა.

ვ. მდივანი.

* * *

სურათზე: გფრ-ისა და ურუგვაის ფეხბურთელთა შორის III ადგილისთვის გამართული მატჩის მომენტი. გერმანელთა თავდამსხმელმა ლიბუდამ მოხდენილი ფინტით გვერდი აუარა მეტოქეს.

ი. მორგულისისა და ა. ხოშიჩის ფოტო.

შესანიშნავად გამოვიდნენ ფიგურული ციგურაობის საბჭოთა ოსტატები ევროპის ამაწინანდელ პირველობაში (ციურიხი). მათ განსაკუთრებით ისახელეს თავი წყვილთა სრიალში, სადაც სამივე საპრიზო ადგილი ხვდათ წილად.

11 თებერვალს სსრ კავშირის ფიგურული ციგურაობის ფედერაციის პრეზიდიუმმა დაამტკიცა მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე საბჭოთა სპორტსმენთა სია. მასში შევიდნენ მოსკოველები გ. კარელინა და გ. პროსკურინიც.

როგორც ცნობილია, მსოფლიო ჩემპიონატი ლიონში მოეწყობა 23-28 თებერვალს. საბჭოთა სპორტსმენები საფრანგეთში 20 თებერვალს გაფრინდებიან.

სურათზე: გ. კარელინა და გ. პროსკურინი ასპარეზობისას.

გ. გალაკტიონოვის ფოტო.

• KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS •

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები

ინგლისის ჩემპიონატის მორიგ ტურში/ გათამაშების ლიდერმა — „ლიდს იუნაიტედმა" საკუთარ მინდორზე წააგო „ლივერპულთან" — 0:1, ხოლო ლონდონის „არსენალმა" რედფორდის ერთადერთი გოლის წყალობით შინ შეძლო „მანჩესტერ-სიტის" დამარცხება — 1:0.

ახლა ლიდერთა ხუთეული ასე გამოიყურება:

	თ.	ბ.	ქ.
„ლიდს იუნაიტედი"	28	47:20	43
„არსენალი" (ლონდონი)	27	48:21	40
„ვულვერჰემპტონ უონდერერსი"	27	47:41	34
„ჩელსი" (ლონდონი)	27	37:31	34
„ტოტენჰემ ჰოტსპური" (ლონდონი)	26	39:24	32

შოტლანდიის ჩემპიონმა — გლაზგოს „სელტიკმა" გასვლითი მატჩი წააგო „სენტ-ჯონსტონთან" (2:3) და კვლავ ვერ შეძლო დაწეოდა „აბერდინს", თუმცა „აბერდინიც" დამარცხდა დანფერმლაინში „დანფერმლაინ ატლეტიკთან" — 0:1. „გლაზგო რეინჯერსმა" შინ მოიგო „ჰართ ოვ მიდლოთიენს" (ედინბურგი) — 1:0.

„აბერდინი"	24	53:11	40
„სელტიკი" (გლაზგო)	23	56:14	38
„გლაზგო რეინჯერსი"	23	41:22	29
„სენტ-ჯონსტონი"	23	43:36	28
„დანდი"	23	38:37	26

ესპანეთი. „ვალენსიამ" XXI ტურში მინიმალური ანგარიშით (1:0) დაამარცხა I ლიგის ახალბედა, ხიხონის „რეალი" და შეძლო ლიდერობის შენარჩუნება. მადრიდის „ატლეტიკომ" გასვლით მატჩში სძლია „ელჩეს" — 4:0. ბარსელონაში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები — „ესპანიოლი" და „ფკ ბარსელონა". გამარჯვება „ფკ ბარსელონამ" — 1:0.

„ვალენსია"	21	27:13	30
„ატლეტიკო" (მადრიდი)	21	37:17	29
„ფკ ბარსელონა"	21	32:17	29
„ატლეტიკო" (ბილბაო)	21	31:18	27
„რეალი" (მადრიდი)	20	34:18	25

რიგი წარუმატებლობის შემდეგ ლისაბონის „ბენფიკამ" ჩემპიონატის XIX ტურში დაამარცხა ამავე ქალაქის „ბელენენსესი" 3:1. ლისაბონის „სპორტინგი" კოიმბრაში შეხვდა ადგილობრივ „აკადემიკას" და ფრეს დასჯერდა — 0:0.

„სპორტინგი" (ლისაბონი)	19	34:9	29
„ვიტორია" (სეტუბალი)	19	44:12	27
„ბენფიკა" (ლისაბონი)	19	40:13	27
„ფკ პორტუ"	19	36:18	27
„აკადემიკა" (კოიმბრა)	19	33:17	27

გფრ-ის ჩემპიონმა — მენჰენგლადბახის „ბორუსიამ" მორიგ ტურში ფრედ ითამაშა „ჰანოვერ 96"-თან — 1:1. სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია თასის მფლობელის — ოფენბახის „კიკერსის" ფრე „ჰამბურგერ შპორტფერაინთან" — 3:3.

„ბორუსია" (მენჰენგლადბახი)	20	48:18	30
„ბაიერნი" (მიუნხენი)	19	38:15	29
„შალკე 04"	20	26:15	26
„აინტრახტი" (ბრაუნშვაიგი)	20	30:20	23
„ჰერთა ბსც" (დას. ბერლინი)	19	28:22	22

იტალიის ჩემპიონატის XVII ტურში „მილანმა" შინ დაამარცხა I ლიგის ახალბედა — „ფოჯა" (2:0) და საგრძნობლად განიმტკიცა ლიდერის პოზიცია. „რომამ" და მილანის „ინტერნაციონალემ" რომში ფრედ ითამაშეს — 0:0.

„მილანი"	17	36:12	28
„ინტერნაციონალე" (მილანი)	17	25:18	24
„ნაპოლი"	17	15:8	24
„ბოლონია"	17	20:13	20
„კალიარი"	17	19:19	18

(საქ. ინფ.).

[illegible] [illegible] — 71

● ლენინგრადი, 12 თებერვალი. ხელბურთელ ქალთა აქ მიმდინარე საკავშირო ჩემპიონატში გაიმართა V ტურის შეხვედრები. წარმატებით თამაშობენ კიევისა და ბაქოს სპარტაკელები: 5-5 შეხვედრა — 5-5 გამარჯვება და 10-10 ქულა. ამ ტურში კიევის „სპარტაკმა" დაამარცხა მოსკოვის „ლუჩი" — 17:12, ხოლო ბაქოელებმა კაუნასის „ჟალგირისს" სძლიეს — 13:11. ლენინგრადის „პეტროგრადეცმა" ფრედ (10:10) დაამთავრა შეხვედრა სვერდლოვსკის „კალინინეცთან". პირველი გამარჯვება (13:9) იზეიმა მინსკის „ტექნოლოგმა" კიევის დსკ-3-თან თამაშში.

უძლიერესთა ათეულებში

სსრ კავშირის ძალოსნობის ფედერაციამ გამოაქვეყნა 1970 წლის სპორტული სეზონის შედეგების მიხედვით უძლიერეს ათლეტთა ათეულები როგორც მსოფლიო, ისე სსრ კავშირის მასშტაბით. მასში შევიდა ჩვენი რესპუბლიკის რამდენიმე წარმომადგენელი.

ქვემსუბუქ წონაში სსრ კავშირის უძლიერეს ძალოსანთა სიაში პირველია დ. შანიძე (თბილისი, „განთიადი"), მსოფლიოში კი იგი მეორეა. ამავე წონაში სსრ კავშირის ათლეტთა სიაში მეცხრე ადგილზეა ა. სურმანიძე (თბილისი, „კოლმეურნე").

მსუბუქ წონაში სსრ კავშირში IX ადგილზეა ვ. ლობჟანიძე (რუსთავის „სპარტაკი").

მძიმე წონის ათლეტთა შორის მსოფლიოსა და სსრ კავშირში VI ადგილები უკავია ა. ჯეჯელავას (თბილისი, „კოლმეურნე").

ზემძიმე წონაში სსრ კავშირის ათლეტთა შორის X ადგილზეა ვ. კაზანჯიანი (თბილისი, „განთიადი").

[illegible] გაზეთი [illegible] [illegible] იყო... 19^{45}

◆ ლოს-ანჯელესი, 13 თებერვალი. ადგილობრივ სპორტდარბაზ „ფორუმში" გაიმართა მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც სსრ კავშირის, ავსტრალიის, შვეციის, პოლონეთის, იტალიისა და ამერიკის შეერთებული შტატების 200-მდე უძლიერესი სპორტსმენი მონაწილეობდა. სამმა საბჭოთა ათლეტმა პირველობა მოიგო: გ. სანეევმა — სამმაგ ხტომაში (16,56 მ), კ. შაპკამ — სიმაღლეზე ხტომაში (216 სმ), ლ. ბრაგინამ — 880 იარდზე რბენაში (2.12,6). ე. არჟანოვმა 1000-იარდიან დისტანციაზე II ადგილი დაიკავა (2.08,6) — ოლიმპიურ ჩემპიონს, ავსტრალიელ რ. დაუბელს აჯობა, მაგრამ იამაიკელ ბ. დაისს ჩამორჩა. სიგრძეზე ხტომაში მესამე იყო ვ. სკიბენკო — 746 სმ. ჭოკით ხტომაში დარბაზებისთვის ახალი მსოფლიო რეკორდი (538 სმ) დაამყარა შვედმა ქ. იზაქსონმა, რომელმაც ოლიმპიურ ჩემპიონს ბ. სიგრენს (აშშ) აჯობა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტული კვირა

ფეხბურთი. „ცისარტყელის" სტადიონი (ოქროყანის მახლობლად). 14 თებერვალი. თბილისის ზამთრის პირველობის ფინალური მატჩი: „სინათლე" — უნივერსიტეტი. დასაწყისი 14 ს.

კლასიკური ჭიდაობა. სპორტის სასახლე. 19-21 თებერვალი. თბილისის ღია პირველობა. მონაწილეობენ აზერბაიჯანის, სომხეთის, ბელორუსიის, ლატვიის, ლენინგრადის, უკრაინის, მოლდავეთის, რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს უძლიერესი მოჭიდავეები. დასაწყისი 12 ს. და 18 ს.

ფიშერი თამაშს აპირებს

19 მარტიდან 7 აპრილამდე სარაევოში (იუგოსლავია) გაიმართება ტრადიციული, XIV საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. შეჯიბრებაში 16 დიდოსტატი და ოსტატი მიიღებს მონაწილეობას. მათ რიცხვში ორი საბჭოთა მოჭადრაკე იქნება. ამ დღეებში ორგანიზატორებმა რ. ფიშერის თანხმობაც მიიღეს. საინტერესოა, რომ იგი რაიმე წინასწარ პირობას არ აყენებს და არც ექსტრაჰონორარს მოითხოვს.

დიდი ასპარეზობა ვრნიაჩკა-ბანიაში

13 აპრილიდან 2 მაისამდე საკურორტო ქალაქ ვრნიაჩკა-ბანიაში ტარდება დიდი საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. ამ შეჯიბრებაში ითამაშებენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი სმისლოვი, დიდოსტატები პოლუგაევსკი, ბენკო (აშშ), ტრინგოვი (ბულგარეთი), ბარცაი (უნგრეთი), ივკოვი, იანოშევიჩი, დამიანოვიჩი (სამივე — იუგოსლავია) და 8 ოსტატი. ტურნირში დაწესდება დიდოსტატის წოდების მოსაპოვებელი ნორმატივი.

ჰიუბნერი იოლად არ დათმობს...

ბევერვიიკის 1971 წლის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირამდე თითქმის ყველა დარწმუნებით ამბობდა, რომ მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ტ. პეტროსიანი (სსრ კავშირი) ადვილად მოუგებს რ. ჰიუბნერს (გფრ) მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალურ მატჩს. ახლა მიმომხილველები უფრო თავშეკავებულ პროგნოზებს გამოთქვამენ. ეს გასაგებიცაა: ბევერვიიკში პეტროსიანი და ჰიუბნერი პირველად შეხვდნენ ერთმანეთს და სამ დღეს იბრძოდნენ. პეტროსიანი ამაოდ ცდილობდა ზედმეტი პაიკის გამოყენებას; 95-ე სვლაზე იძულებული გახდა ყაიმს შერიგებოდა.

ჰიუბნერი კენჭივით მაგარი ყოფილაო, ამბობდნენ მიმომხილველები. მართლაც, მალიორკის საზონათშორისო ტურნირში II ადგილს „შემთხვევითი" მოჭადრაკე ვერ დაიკავებდა. უბრალოდ, ჰიუბნერს, მისი ახალგაზრდული ასაკის გამო (იგი 22 წლისაა) ნაკლებად იცნობდა საჭადრაკო სამყარო.

ქერა, სქელსათვალიანი რობერტ ჰიუბნერი კიოლნის უნივერსიტეტის სტუდენტია. იგი მამის — გიმნაზიის ძველი ენების მასწავლებლის გზას გაჰყვა: ლათინურ და ბერძნულ ენებს ეუფლება. ჭადრაკსაც მამამ აზიარა, როცა 5 წლისა იყო.

9 წლის რობერტს უკვე კიოლნის საჭადრაკო კლუბში ხედავდნენ. შემდგომში წარმატებები სწრაფად იზრდება: 10 წლის რობერტი კლუბის გუნდში შეიყვანეს, 14 წლისა ქალაქის ჩემპიონი, 15 წლის კი ქვეყნის ჩემპიონი გახდა თანატოლთა შორის. 17 წლისამ I-II ადგილები გაიყო გფრ-ის ვაჟთა ჩემპიონატში. 1967 წელს ჰიუბნერი სტუდენტთა მსოფლიო გუნდურ პირველობაში მონაწილეობს.

1969 წელს ნიჭიერმა ჭაბუკმა III ადგილი დაიკავა მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირში. იმავე წლის ზაფხულში „იმედთა ტურნირში", რომელშიც დიდოსტატის წოდების მისაღები ბალების მქონე უძლიერესი ახალგაზრდა ოსტატები (მათ შორის, ოთხი ქვეყნის ჩემპიონები) მონაწილეობდნენ, რობერტმა I ადგილი დაიკავა და უახლოეს მეტოქეს 2 ქულით გაუსწრო. მან 10 შეხვედრა მოიგო და 5 ყაიმით დაამთავრა. ამ ტურნირის მონაწილე მინსკელმა ოსტატმა ვ. კუპრეიჩიკმა შინ დაბრუნებისას ასე იწინასწარმეტყველა: „ჩემი აზრით, ჰიუბნერი სულ მალე დიდოსტატის ნორმატივს შეასრულებს, ხოლო საზონათშორისო ტურნირში არაერთი სიურპრიზის ავტორი იქნება!".

როგორც ხედავთ, ჰიუბნერის ოსტატობა ზღაპრული სისწრაფით იზრდება. მის თამაშს, რა თქმა უნდა, ხარვეზებიც ახლავს. ამათგან მთავარი მაინც ისაა, რომ იგი ჯერ ვერ ფლობს პოზიციური ბრძოლის ნიუანსებს, რაც პეტროსიანს გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს მომავალ მატჩში. დასავლეთ გერმანიის საჭადრაკო მიმომხილველები იმასაც აღნიშნავენ, რომ ჰიუბნერი ფიზიკურად სუსტია. საზონათშორისო ტურნირის დროს მას ეშინოდა მხოლოდ... ავადმყოფობისო.

ასეთია პეტროსიანის მეტოქე. ჩვენ არაფერს ვამბობთ მსოფლიოს ექს-ჩემპიონზე. იგი დიდად ერუდირებული, გამობრძმედილი და შეუპოვარი მებრძოლია. მასთან თამაში ყველასთვის ძნელია, მით უმეტეს, ჰიუბნერისთვის. დიდი გამჭრიახობა არ არის საჭირო, რომ პეტროსიანის გამარჯვება იწინასწარმეტყველო.

მაგრამ ჰიუბნერი, როგორც ზემოთ მოვახსენეთ, ხელწამოსაკრავი როდია. მზარდი მოჭადრაკე მსოფლიო ჩემპიონ ბ. სპასკისთან შეხვედრის შანსს იოლად არ დათმობს. ამიტომ თამამად შეგვიძლია ვთქვათ: პეტროსიან — ჰიუბნერის მატჩი სხვა სამ მეოთხედფინალურ ორთაბრძოლაზე არანაკლებ მიმზიდველი იქნება.

თ. ბიორბაძე.